იენისა და თბილისის უნივერსიტეტების ერთობლივი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: ანტიკური კულტურისა და მისი მემკვიდრეობის აქტუალური პრობლემები

თსუ კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტი

იენის ფრიდრიხ შილერის უნივერსიტეტის სიძველეთმცოდნეობის ინსტიტუტი

თბილისი, 23–26 სექტემბერი

იენის ფრიდრიხ შილერის უნივერსიტეტისა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიძველეთმცოდნეებმა აღადგინეს ორი უნივერსიტეტის მრავალწლიანი ნაყოფიერი ურთიერთთანამშრომლობის შესანიშნავი ტრადიცია, ერთობლივი საერთაშორისო კონფერენციების ჩატარება ანტიკური კულტურის აქტუალურ პრობლემებზე. ამ ტრადიციას ჩაეყარა საფუძველი, მალევე ორ უნივერსიტეტს შორის ისტორიული ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულების გაფორმების დღიდან 1966 წელს. პრიორიტეტული მიმართულებათა შორის კლასიკური ფილოლოგია და სიძველეთმცოდნეობა შეირჩა. იენის უნივერსიტეტი ცნობილია თავისი მრავალსაუკუნოვანი ტრადიციებით, სახელოვანი პროფესორებითა და კურსდამთავრებულებით, კორიფეებით ძველი აღმოსავლური და ბერძნულ–რომაული სამყაროს შესწავლის სფეროში. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დარგის ავტორიტეტს მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავდნენ 1938 წელს რეპრესირებული და იმხანად გარდაცვალების შემდგომ რეაბლიტირებული, თბილისის უნივერსიტეტში კლასიკური ფილოლოგიის კათედრის დამაარსებლის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ერთ–ერთი ბრწყინვალე წარმომადგენლის, გრიგოლ წერეთლის, სიმონ ყაუხჩიშვილისა და მისი მოწაფეების სახელები. იენელ და თბილისელ კოლეგებს შორის ურთიერთთანამშრომლობის მიმართულებით პირველი ქმედითი ნაბიჯი გადაიდგა 1969 წელს, როდესაც ორმა იენელმა პროფესორმა, ფრიდმარ კიუნერტმა და ერნსტ გიუნთერ შმიდტმა მონაწილეობა მიიღეს ჩვენს უნივერსიტეტში ანტიკური კულტურის პრობლემებზე ჩატარებულ საკავშირო კონფერენციაში. სწორედ იმ დღეებში ჩაეყარა საფუძველი დიდ მეგობრობას იენელ და თბილისელ სიძველეთმცოდნეებს შორის და გადაწყდა ყოველ

ორ–სამ წელიწადში ერთხელ ჩაგვეტარებინა ერთობლივი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციები რიგ–რიგობით იენასა და თბილისში და კონფერენციის მოხსენებები გამოგვეცა ცალკე კრებულების სახით. ამ კონფერენციებმა მსოფლიოს სამეცნიერო წრეებში დიდი პოპულარობა მოიპოვეს და კლასიკური სიძველეთმცოდნეობის სფეროში ერთ–ერთ ყველაზე ავტორიტეტულ სამეცნიერო ფორუმებად იქცნენ. მათი ნუსხა:

1969 თბილისი: ანტიკური კულტურის პრობლემები. საკავშირო კონფერენცია იენელთა მონაწილეობით(1)

1973 იენა: ანტიკურობა სოციალისტურ კულტურაში(2)

1975 თბილისი: Caucasica – Mediterranea(4)

1977 იენა: ესქილე და პინდაროსი. დაბადების 2500 წლისათვის(4)

1980 თბილისი: ტრადიცია და ნოვატორობა ანტიკურ კულტურაში(5)

1983 იენა: ავგუსტუსის ეპოქის კულტურა(6)

1986 თბილისი: გმირთა ინდივიდუალიზაციის პრინციპები ანტიკურ კულტურაში(7)

1988 იენა: საბერძნეთი და რომი. ანტიკური სამყაროს ისტორიის, ხელოვნებისა და ლიტერატურის განვითარების ტენდენციებისა და მწვერვალების შედარებითი კვლევა(8)

1992 იენა: პრინციპატი და კულტურა I და II საუკუნეებში(9)

ოცზე მეტწლიანი პაუზის შემდეგ ორი უნივერსიტეტის სიძველეთმცოდნეებმა გადაწყვიტეს აღედგინათ ერთობლივი კონფერენციების ჩატარების ტრადიცია. მათ გადაწყვეტილებას დიდი ინტერესით შეხვდა სამეცნიერო საზოგადოება. საქართველოდან, გერმანიიდან, საბერძნეთიდან, საფრანგეთიდან, აშშ–დან, ბრიტანეთიდან, იტალიიდან, პოლონეთიდან, ბულგარეთიდან, ხორვატიიდან, ირანიდან, რუსეთიდან 100–ზე მეტი მომხსენებელი წარმოადგენს მოხსენებებს ხუთ სექციაში: 1. ანტიკური ლიტერატურა და ფილოსოფია, 2. ანტიკური სამყაროს ისტორია და კულტურა, 3. ანტიკური მემკვიდრეობა შუა საუკუნეებსა და რენესანსში, 4. ანტიკურობა და თანამედროვე მსოფლიო, 5. ანტიკურობა და საქართველო.

კონფერენცია ტარდება თსუ VIII კორპუსში (ი. ჭავჭავაძის 13)

კონფერენციის გახსნა 24 სექტემბერს, 9.30 სთ. VIII კორპუსის სააქტო დარბაზში

0179, თბილისი, ი. ჭავჭავაძის №13,
ტელ./ფაქსი. + 995 32 2 22-11-81
ელ.ფოსტა: greekstudies@tsu.ge

13, I. Chavchavadze ave.0179, Tbilisi, Georgia
Tel./ Fax.+ 995 32 2 22-11-81
E-mail: greekstudies@tsu.ge